სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის თვრამეტ ოქტომბერს მე, ეკატერინე ედიბერიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბ.40 მომმართა ბატონმა ალექსანდრე გოცირიძემ (დაბად. 27.10.1953. **მისამართი: თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 5 ბ. 60, პირადი ნომერი:** 01015013316, **პირადობის მოწმობის სერია:** 12IC21321, გაც. 2012-12-21), რომელმაც განაცხადა რომ არის შპს „ რეალთი ავლაბარი"-ს პარტნიორი, 100 პროცენტის წილის მფლობელი და **დირექტორი. (საიდენტიფიკაციო კოდი:** 405012864, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B13098760). **მან** მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება **სანოტარო ბიუროს გარეთ** (მის: **თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი** N 95). მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა ალექსანდრე გოცირიძემ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. ალექსანდრე გოცირიძეს წავუკითხე მინდობილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი, მანაც წაიკითხა და მოიწონა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და სურვილს, რის შემდეგ პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ალექსანდრე გოცირიძემ (დაბად. 27.10.1953. **მისამართი: თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 5 ბ. 60, პირადი ნომერი:** 01015013316, **პირადობის მოწმობის სერია:** 12IC21321, გაც. 2012-12-21)„ როგორც შპს „ რეალთი ავლაბარი"-ს პარტნიორი, 100 პროცენტის წილის მფლობელი და **დირექტორი. (საიდენტიფიკაციო კოდი:** 405012864), ამ მინდობილობით, ბატონ ზაზა დემეტრაშვილს (დაბად 08.12.1967. მისამართი. **თბილისი გლდანი V მ/რ კორ. 9"ა" ბ. 79.** პ/ნ № 01002004586, პირადობის მოწმობა g1383957, გაც. 2010-08-23), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: ბატონი ზაზა დემეტრაშვილი უფლებამოსილია განახორციელოს ჩემი, როგორც ამ კომპანიის დირექტორის წარმომადგენლობა. იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში; საბაჟო სამსახურებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სააღსრულებო ბიუროებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნოტარიუსთან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში და სხვა ორგანოზაციებსა და დაწესებულებებში. დამოუკიდებლად განსაზღვროს აღნიშნულ დავალებებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. Iგი უფლებამოსილია შეიტანოს განცხადებები, ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დოკუმენტები, ცნობები, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად დოკუმენტებს (მათ შორის განცხადებებს და სხვა დოკუმენტებს), გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები, აგრეთვე გამოითხოვოს საჯარო რეესტრიდან დოკუმენტები, დამოწმებული ასლები, მიიღოს საბანკო ამონაწერები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნულ დავალებებთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია ორი **წლის** ვადით და ძალაშია 2015 წლის **თვრამეტი ოქტომბრის ჩათვლით.** მინდობილობა გაცემულია **ოთხ** ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს **ეკატერინე ედიბერიძის** სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა ალექსანდრე გოცირიძეს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟი, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10.0 (ათი) ლარი, 34-ე **მუხლის თანახმად მხარეთა შეთანხმებით** 3.00 **ლარი** და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი.

ხელისმოწერა _____

ნოტარიუსი ეკატერინე ედიბერიძე

საქართველო. ნოტარიუსი ეკატერინე ედიბერიძე * GEORGIA. NOTARY EKATERINE EDIBERIDZE * 01007001593

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62219259735213

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131098551

რეგისტრაციის თარიღი

18.10.2013 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ედიბერიძე

მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზირი #5 ბ. 40

ტელეფონი: 270 48 73

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18